ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 154

ქალაქი ქუთაისი 27 მარტი 2019 წელი

გაწეული მუშაობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის, ნიკოლოზ ლატარიას ანგარიშის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35–ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, 132-ე და 134-ე მუხლების საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დადებითად გაწეული მუშაობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნიკოლოზ ლატარიას ანგარიში.

(გაწეული მუშაობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპლიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის, ნიკოლოზ ლატარიას ანგარიში
წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2019 წლის 27 მარტის N154 განკარგულების
დანართი

გაწეული მუშაობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნიკოლოზ ლატარიას ანგარიშის

შ ე ს ა ხ ე ბ

გაცნობიერებული მაქვს რა ის დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობა როგორც ქალაქის მოსახლეობის, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევიდან დღემდე, მთელი ძალისხმევით შევეცადე ჩემზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება იმ ადამიანებზე ფიქრითა და ზრუნვით დამეწყო, ვინც თითოეულ ჩვენგანს ნდობა გამოუცხადა, ვისაც ჩვენი სწამს და სჯერა.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ჩემს ანგარიშში ყურადღებას გავამახვილებ მიმდინარე მოწვევის პერიოდში, საკრებულოს მიერ, საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისათვის გაწეული საქმიანობის თაობაზე.

ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის შემდეგ, საკრებულოს გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, ყურადღება მიექცა ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებას. კერძოდ, დაკომპლექტდა კომისიები, დაფუძნდა ფრაქციები, განხილულ იქნა საკითხები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის პროცესის დაწყებისა და დასრულების თაობაზე, შემუშავებულ იქნა და დამტკიცდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლისა და 2019 წლის სამუშაო გეგმები, რომლებშიც კონკრეტულად იქნა გაწერილი საკრებულოს გეგმიურ სხდომებზე განსახილველი საკითხები, შემუშავებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტსა და საკრებულოს აპარატის დებულებაში შესატანი ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, საკრებულოს მიერ, მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, დროულად იქნა განხილული და დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებები, საკრებულოს აპარატისა და მერიის საშტატო ნუსხები, განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები, დამტკიცდა აპარატის თანამდებობრივი ინსტრუქციები, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საკრებულოს აპარატში ვაკანტურ თანამდებობაზე, მოხელეთა შერჩევის მიზნით, გამოცხადდა და ჩატარდა კონკურსები, განისაზღვრა საჯარო მოსამსახურეთა შეფასების კრიტერიუმები, პრაქტიკაში დაინერგა მოსამსახურეთა მიერ ყოველკვირეული ანგარიშების წარდგენისა და უშუალო ხელმძღვანელის მიერ, მათი საქმიანობის შეფასება.

საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქმისწარმოების წესების დაცვასა და კონტროლს. მიმდინარე მოწვევის პერიოდში, საკრებულოში სულ შემოსულია 2589 წერილობითი განცხადება და მომართვა, რომელთაგან შესრულებულია 2545, ხოლო შესრულების პროცესშია 44.

მნიშვნელოვნად დაიხვეწა ცალკეული საკრებულოს წევრებისა და თანამდებობის პირების მიერ, მოქალაქეთა მიღების პრაქტიკა. საკრებულოს მაჟორიტარ წევრებს მოქალაქეთა ყოველდღიური მიღება აქვთ დაწესებული საკრებულოში, ამასთან, ყოველკვირეულად ხვდებიან ისინი მოსახლეობას შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში. პირადად მე, მოქალაქეთა მიღებისათვის გამოყოფილი მაქვს ყოველი კვირის სამშაბათი, ამასთან, რეგულარულად ვხვდები მათ კვირის ნებისმიერ დღეს. აღნიშნულის თაობაზე მოსახლეობა ინფორმირებულია.

უშუალოდ ჩემ მიერ, მიღებულია 348 მოქალაქე, რომელთა უმრავლესი ნაწილი სოციალურად დაუცველია და მათ მიერ დასმული საკითხები ძირითადად შეეხება სხვადასხვა დახმარების მიღებას. ჩემ მიერ, ყველა მათგანის თხოვნა კანონით დაცულ ვადებშია განხილული. არცერთი მათგანის თხოვნა არ დარჩენილა ყურადღების გარეშე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად, ვცდილობ, აქტიურად ჩავერთო ქალაქის მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხების მოგვარების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამართულ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში. საკრებულომ, სხვადასხვა დროს, არაერთი შეჭირვებული ადამიანის მიმართ გამოხატა როგორც მორალური, ასევე, მატერიალური თანადგომა და მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს ინიციატივით, ყოველი წლის 19 დეკემბერს (ნიკოლოზობას), იმართება საქველმოქმედო ღონისძიება.

ორ წელზე მეტია, ლეიკემიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, 15 თებერვალს, ჩემი ინიციატივითა და ხარდაჭერით ტარდება უკვე ტრადიციადქცეული საქველმოქმედო საღამო.

მეორე წელია, ქალაქში, უშუალოდ, საკრებულოსა და ნაციონალური სისხლის ბანკის ორგანიზებით, იმართება სისხლის გაღების აქცია „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“. აღსანიშნავია, ამ აქციის გამართვის ორგანიზებაში საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის აქტივობა.

საკრებულოს წევრების მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სხვადასხვა სფეროს ადამიანთა ღვაწლის დაფასებასა და ჩვენი ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანთა გახსენებასა და პატივგებას. მათ შორისაა: არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნის პატივგების; ოჯახის სიწმინდის დაცვის; საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორისა და ფოტოგრაფის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და სხვა.

საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა დროს, შეხვედრები გაიმართა პენსიონერთა და ვეტერანთა პროფესიული კავშირის წევრებთან და ბეჭდვური მედიის წარმომადგენლებთან, სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომელ ქალებთან, რომელთაც გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

ვფიქრობ, შორს წაგვიყვანს ყველა იმ ღონისძიებაზე საუბარი, რასაც უშუალოდ ჩემი მონაწილეობით, საკრებულო სისტემატურად ახორციელებს მოსახლეობის სხვადსხვა საჭიროებებთან დაკავშირებით. ამიტომ, დეტალურად აღარ შევჩერდები საკრებულოს მიერ, ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობის თაობაზე. მე, ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ყოველთვის ვიქნები იმ ადამიანების გვერდით, ვისაც ჩემი დახმარება და თანადგომა სჭირდება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მნიშვნელოვანი სიახლეები იქნა დანერგილი ახალგაზრდული ინიციატივების წარმოჩენისა და მხარდაჭერისათვის. ქუთაისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ ახალგაზრდული ინიციატივების კონკურსი დაიწყო, რომლის მიზანს ახალგაზრდებში იდეების წახალისება, საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზება და მათი სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. პროექტი უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2019 წელს. საკონკურსო იდეის მიღების ბოლო ვადად 1 ოქტომბერია გამოცხადებული. შემოსული ინიციატივების განხილვა ყოველი თვის ბოლოს, მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ მოხდება, რომელსაც საკრებულოს წევრი, ოთარ ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. დღეის მდგომარეობით, კომისიაში განაცხადის სახით, სულ 19 პროექტია შემოსული, აქედან, კომისიური განხილვის შედეგად, დაფინანსებას მხოლოდ 9 პროექტი მიიღებს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელშეწყობით, წარმატებით განხორციელდა სამეცნიერო–ინტელექტუალური კლუბის „თაობათა დიალოგი“ პროექტი „ქუთაისის ახალგაზრდული საკრებულო“, რომლის მიზანს დემოკრატიული პრინციპებისა და ღირებულებების დანერგვა, ახალგაზრდებში ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა წარმოადგენდა. პროექტის ფარგლებში, კონკურსის წესით შერჩეულმა 25-მა ახალგაზრდამ, 4 თვის განმავლობაში, სტაჟირება საკრებულოში გაიარა.

პროგრამის დახურვის ღონისძიებაზე, პროგრამის მონაწილეებმა სერტიფიკატებთან ერთად, უნარ-ჩვევების ატესტატი მიიღეს, რომელშიც პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების შეფასებებია ასახული. დაჯილდოების ცერემონიალში აქტიურად მონაწილეობდნენ ქუთაისის საკრებულოს წევრები.

საკრებულოს წევრების მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ამომრჩევლებთან შეხვედრების ჩატარებას და მათ წინაშე ანგარიშების წარდგენას გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე წლის 27 თებერვალს, საკრებულომ დაამტკიცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩევლებისათვის გაწეული საქმიანობის თაობაზე, ანგარიშის წარდგენისა და საჯარო შეხვედრების გამართვის წესი, რომლითაც განისაზღვრა საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე ანგარიშის შედგენის, ამომრჩევლებისათვის მისი წარდგენის, ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის, გამოქვეყნებისა და ანგარიშის ჩაბარებასთან დაკავშირებული პროცედურები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკრებულოს წევრების ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზებულ დონეზე ჩატარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულო, მოწვევის პერიოდში, შეეცადა საქართველოს კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვას.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვას.

მოგეხსენებათ, საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია ხუთი კომისია. უნდა ითქვას, რომ ყველა კომისია ცდილობს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და შესაბამისი კომისიის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვას. საყურადღებოა, რომ თითოეული კომისია საქმიანობას წარმართავს კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად. მოწვევის პერიოდში, მათ მიერ ჩატარებულია 101 სხდომა. განხილულია 357 საკითხი.

საკრებულოს კომისიების მიერ, საკრებულოს სხდომებზე ინიცირების წესით, განსახლიველად წარმოდგენილია 53 საკითხი. განსაკუთრებით, უნდა გამოვყო იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის“; „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ და ამ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩევლებისათვის გაწეული საქმიანობის თაობაზე, ანგარიშის წარდგენისა და საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ინიცირებული პროექტები და კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის მიერ შემოტანილი საკითხები: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიასთან ახალგაზრდული საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და ამ საბჭოს დებულების დამტკიცების“; „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების“; „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების“; „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების

მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების"; „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურებისა და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცებისა" და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ".

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს შესაბამისი კომისიების მიერ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მათ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას, რამაც ხელი შეუწყო 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურების, დიაგნოსტიკისა და შემდგომი მკურნალობის, ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის, ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომის, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების, შინ მოვლის პროგრამით მოსარგებლეთა, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციართა უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის, სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების, შშმ პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების, მარტოხელა მშობელთა დახმარების, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თანადგომის, დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

სერიოზული სამუშაოები ჩატარდა გზებისა და ტროტუარების, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა-პატრონობის, ფასადების რეაბილიტაციის, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის, გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის, საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალის შეძენის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაციის, ეზოების კეთილმოწყობის, ლიფტების რეაბილიტაციის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის.

მოგეხსენებათ, საკრებულოში, საკრებულოს წევრთაგან, შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე ხუთი ფრაქცია, რომლებიც საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით ატარებენ საკუთარ კურსს, გამოხატავენ ფრაქციის ერთიან პოზიციას საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, თავიანთ სხდომებზე იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე, ინიცირების წესით, აყენებენ წინადადებებს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ორგანოების წინაშე ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების მდგომარეობის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ქალაქის მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგების შესახებ და სხვ.

მიმდინარე მოწვევის პერიოდში, საკრებულოს აპარატის შესაბამისი განყოფილებების მიერ, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომების მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების ხელშეწყობას, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მაღალ პროფესიულ დონეზე რედაქტირების, აქტების გამოცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხებს, საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომების ოქმების კანონით

დადგენილი წესით მომზადებასა და შედგენას. დაცულია საკრებულოს სხდომების მოწვევისა და მისი საჯაროდ გამოცხადების ვადები.

დღეის მდგომარეობით, ჩატარებულია სულ საკრებულოს 25 (მათ შორის: რიგითი-17, რიგგარეშე - 8) და ბიუროს 25 სხდომა. საკრებულოს სხდომებზე განხილულია 245 საკითხი, მიღებულია 93 ნორმატიული და 152 ინდივიდუალური აქტი. სხვადასხვა ორგანიზაციულ და საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის 600 ბრძანება.

საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საკრებულოს სხდომებზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ინფორმაციებისა და ანგარიშების მოსმენას. 2018 წელს, სხდასახვა დროს, საკრებულოს სხდომებზე მოსმენილ იქნა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა; საფინანსო - საბიუჯეტო; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა; ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის; კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიების ინფორმაციები, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - სამხედრო; სოციალურ საკითხთა; ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების; საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურების ანგარიშები.

2018 წლის მარტის თვეში მოსმენილი და შეფასებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ანგარიში. დღეს მოვისმინეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

კანონით დადგენილ ვადებში მოხდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2018 და 2019 წლების ბიუჯეტის პროექტების განხილვა და დამტკიცება საკრებულოს მიერ. საყურადღებოა, რომ საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ძალისხმევით, 2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში, სხვა მნიშვნელოვან პროგრამებთან ერთად, გათვალისწინებულ იქნა ისეთი პროგრამები, როგორიცაა: მარტოხელა მშობელთა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა, დღის ცენტრის ბენეფიციართა, ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სტუდენტების დახმარების პროგრამები.

2019 წლისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; გარემოს დაცვა; განათლება; კულტურა, რელიგია; ახალგაზრდობა და სპორტი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოში ფუნქციონირებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ირაკლი შენგელია. საბჭო თავის საქმიანობით ხელს უწყობს გენდერულ სფეროში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის კუთხით, კანონმდებლობით გათალისწინებული აქტივობების უზრუნველყოფას, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებას. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება მუშაობა ამ მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს კომისიების მიერ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკრებულოს სხდომებზე განსახილველი აქტების პროექტებთან დაკავშირებით დასკვნების მომზადებისა და საკრებულოს ბიუროს სხდომებზე მათი განხილვის საკითხს. მიმდინარე მოწვევის პირველი სხდომიდან დღემდე კომისიების მიერ, სხვადასხვა საკითხებზე შემუშავებულია 245 დასკვნა, რომლებიც სხვადასხვა დროს წარდგენილია ბიუროს სხდომებზე განსახილველად და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები სხდომებზე განსახილველი საკითხების შესახებ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რამაც

მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამართლებრივი აქტების პროექტებში არსებული ხარვეზების მნიშვნელოვნად შემცირებას და მათ მოყვანას შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

საყურადღებოა, რომ უკვე დავიწყეთ სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოსათვის, სამართლებრივი კონსულტაციისათვის მიმართვის თაობაზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 137-ე მუხლით საკრებულოსათვის მონიჭებული უფლებამოსილების გამოყენება, რაც ფაქტობრივად, გამორიცხავს ხარვეზებს საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში. გასული წლის 2 ოქტომბერს, მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში სამართლებრივი კონსულტაციის მიზნით, გაიგზავნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი და საკრებულოს კომისიების დასკვნებისა და აპარატის შესაბამისი განყოფილების მიერ რედაქტირებული დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“. კანონით დადგენილ ვადაში, დეპარტამენტიდან მოვიდა სამართლებრივი დასკვნა ხსენებული პროექტის თაობაზე. როგორც თქვენთვის ცნობილია, დეპარტამენტს აქტთან დაკავშირებით, შენიშვნა არ ჰქონია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება იმ სახით, როგორიც ის წარდგენილი იყო სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოში. გამომდინარე აქედან, ხსენებულ აქტში სამართლებრივი ხასიათის ხარვეზი გამოირიცხა. 2018 წლის 22 ნოემბერს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს სამართლებრივი კონსულტაციისათვის გაეგზავნა აგრეთვე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტის თაობაზე, ზედამხედველობის ორგანოდან მიღებულია რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებითაც მოხდება ხსენებული პროექტის განხილვა აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მისი კორექტირებული რედაქციის წარმოდგენის შემდეგ.

საკრებულოს მიერ განსახილველი პროექტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გარკვეულ საქმიანობას ეწევა საკრებულოს აპარატი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა, რბილად რომ ვთქვათ, არასაკმარისია. საკრებულოს სამართლებრივ აქტებში ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, მეტი ძალისხმევის გამოჩენა მართებს როგორც აღმასრულებელი ორგანოს, ასევე საკრებულოს აპარატის იურიდიულ განყოფილებებს, რათა თავიდან ავიცილოთ ის უხერხულობები, რაც შემდგომ, ამ ხარვეზების გამოსწორებასთანაა დაკავშირებული. საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისაგან, 23 აქტის შესახებ აქვს მიღებული სამართლებრივი დასკვნა აქტებში დაშვებული სამართლებრივი ნორმების დარღვევის შესახებ.

მ/წლის 30 იანვარს, საკრებულომ მიიღო დადგენილებები „ააიპ ,,სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მწვრთნელ-მასწავლებელთა ხელფასის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის №67 დადგენილებაში ცვლილების შეტანისა და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანთლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ თანამშრომელთა (პედაგოგთა) ხელფასის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისაგან საკრებულოში შემოვიდა სამართლებრივი დასკვნები ხსენებული აქტების თაობაზე. ზედამხედველობის ორგანო დასკვნაში მიგვითითებს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106 [1] მუხლის საფუძველზე დოკუმენტი არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და 15 დღის ვადაში ექვემდებარება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული აქტების მიღება საკრებულოს კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა, დღეს, მათი გაუქმების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენა.

უნდა ითქვას, რომ გამოსასწორებელია აღმასრულებელი ორგანოს მიდგომა საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების წარმოდგენის ვადებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და ღიაობის თვალსაზრისით, მედია საშუალებებისა და სოც-ქსელების აქტიურ გამოყენებას. სისტემატურად ხდება საკრებულოს სხდომების პირდაპირი ეთერით ტრანსლაცია; საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და საკრებულოს თითოეულ წევრს შესაძლებლობა აქვთ აქტიურად ისარგებლონ საკრებულოს ოფიციალური ფეისბუქგვერდით, ადგილობრივი თვითმმართველობის ვებ გვერდით, სატელევიზიო ეთერით ჩააბარონ ანგარიში მოსახლეობას რუბრიკით: „ანგარიში ხალხს“. ქალაქის მოსახლეობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციები, რომლებიც ეხება საკრებულოს სხდომებს, ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას, მოსახლეობასთან შეხვედრებს, სოციალური პროგრამების განხორციელების საკითხებს, საკრებულოს წევრების საქმიანობას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსული დოკუმენტაციების ვადების დაცვით რეაგირების საკითხს, 2018 წელს, საკრებულოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით შემოვიდა სულ 69 წერილობითი განცხადება და მომართვა, რომელთაგან, 63 დადებითად არის გადაწყვეტილი, 6 საჯარო მოთხოვნაზე მიღებულ იქნა მოტივირებული გადაწყვეტილება უარის თქმის შესახებ (ნაწილი არ განეკუთვნებოდა საკრებულოს კომპეტენციას, ზოგი შეეხებოდა სხვა პირის თაობაზე პერსონალური ინფორმაციის გამოთხოვას და სხვ.). 2019 წლის იანვრიდან დღემდე შემოსულია 7 წერილი და განცხადება, რომელიც მოიცავს 26 მოთხოვნას საჯარო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. ყველა მათგანზე გაცემულია პასუხი კანონით დადგენილი ვადების დაცვით. მიმდინარე მოწვევის პერიოდში, ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაუცემლობის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ, 2017 წელს განხორციელებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის შედეგად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო დასახელდა ყველაზე ანგარიშვალდებულ და ღია საჯარო დაწესებულებათა შორის. აღნიშნულის თაობაზე, საკრებულომ მიიღო შესაბამისი სიგელი.

ჩემ მიერ წარმოდგენილ ანგარიშში შევეცადე მოკლედ მომეთხრო იმ ღონისძიებების თაობაზე, რომელსაც მე და თქვენ, საკრებულოს შემადგენლობა ვახორციელებდით საანგარიშო პერიოდში, თუმცა, არ შეიძლება გვერდი ავუარო იმ ხარვეზებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების საშუალებას არ გვაძლევს. ქალაქში არსებული საერთო სიდუხჭირის ფონზე, ჩვენს მიერ გაკეთებული საქმე ზღვაში წვეთიც არ არის.

ვფიქრობ, მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი თანაქალაქელების ყოფა ცოტათი მაინც შემსუბქდეს. განსაკუთრებული ძალისხმევის გამოხატვა, მეტი გულისყური და პასუხისმგებლობა, მეტი თავდადება და თავგანწირვა გვმართებს იმისათვის, რომ ჩვენი ამომრჩევლის ნდობა გავამართლოთ, მათი პატივისცემა დავიმსახუროთ. ალბათ, მეტი კონტროლი უნდა განვახორციელოთ ჩვენდამი ანგარიშვალდებული ორგანოს - მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაზე. მეტი მოვთხოვოთ როგორც საკუთარ თავს, ისე თითოეულ მათგანს.

ბოლოს, გამოვთქვამ რწმენას, საკრებულო უფრო გააქტიურებს საქმიანობას თავისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. თითოეული ჩვენგანი მეტად შევიგრძნობთ იმ დიდ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას, რომელიც დაგვაკისრა ქალაქის მოსახლეობამ. ვფიქრობ, ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენ ამას შევძლებთ.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია